14; 16,

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდი

1992
სამშაბათი
7
ივლისი
№ 15 (10546)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

კრიმინოგენური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის

1 ივლისს ჩატარდა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის საწარმო-დაწესებულებების მუშაკთა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა, ფართო საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც განიხილა ზუგდიდში კრიმინოგენური მდგომარეობის მოწესრიგების ღონისძიებანი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებელმა **ო. ფაცაციამ.**

დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობაზე სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის სამმართველოს უფროსი **მ. რაფავა,** რომელმაც მოკლედ მიმოიხილა ამ მხრივ ჩვენს რეგიონში შექმნილი სავალალო მდგომარეობა.

რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ პრინციპული მსჯელობა გამართეს ქალაქის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა **ვ. ნანავამ,** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წარმომადგენელმა **ბ. ქარდავამ,** კორცხელის თემის საკრებულოს გამგებელმა **გ. რაფავამ,** რუხის საკრებულოს გამგებელმა **ა. თოდუამ,** ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა **უ. შელიამ,** მე-12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა **დ. ქუჩულორიამ,** პედაგოგმა **თ. ხარბედიამ,** ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკის საამქროს უფროსმა **მ. ლაკერბაიამ** დარჩელის საშუალო სკოლის დირექტორმა **ბ. არნანიამ,** მწვანეთა პარტიის ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარემ **ბ. გუნავამ,** კორცხელის საზ. მეურნეობის ეკონომისტმა **ნ. ჩიქოვანმა,** ოდიშის საკრებულოს წევრმა **ლ. ანთიამ,** ახალსოფლის საზ. მეურნეობის თავმჯდომარემ **კ. კიკალიშვილმა,** შინაგან საქმეთა ზუგდიდის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ოპერატიულ დარგში **რ. ჩიქობავამ,** სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსმა **ი. ჩხეტიამ** და სხვებმა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოადგილე **დ. ანთია** და სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული ზუგდიდის რეგიონში **ზ. ხაზალია.**

კრებაზე გამოიკვეთა საერთო აზრი საწარმოო შრომის აუცილებელი განახლების და მისი ხელშემშლელი მიზეზების შესახებ, იმ ცალკეულ შემთხვევებზე, როცა ესა თუ ის ტერორისტული ჯგუფები ამ პროცესს აფერხებენ.

იყო ცალკეული მოწოდებები დაუმორჩილებლობის შესახებ, მაგრამ დარბაზის უმრავლესობაში ამ მოწოდებას უარყოფითი გამოძახილი მოჰყვა.

კრება შეაჯამა **ო. ფაცაციამ.** მან აღნიშნა იმ ზარალის შესახებ, რომელიც აქ შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია. რაიონსა და ქალაქში იგი შეადგენს მილიარდ 700 მილიონ მანეთს, რამაც ფაქტიურად ჩვენი ეკონომიკის კატასტროფა გამოიწვია და რაც თავს იჩენს მძიმე შედეგებით უახლოეს მომავალში. გამოსავალი მხოლოდ ეკონომიკის ამოქმედებაა, რომლის შეფერხებასაც არავითარი გამართლება არ მოეძებნება.

კრებას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ჩვენში დატრიალებული უბედურების ერთ-ერთი მსხვერპლის არქიტექტორ **გუჩა ჯიქიას** მშობლები — თამარ და **ჭიჭიკო ჯიქიები,** რომელთაც დასვეს ამ მკვლელობის ძიების დაჩქარების და დამნაშავის სათანადოდ დასჯის საკითხი. დარბაზმა მას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, რაც აისახა შესაბამის რეზოლუციაშიც.

კრებამ განიხილა შესაბამისი რეზოლუცია მდგომარეობის შემდგომი სტაბილიზაციისათვის.

აქვე წაკითხულ იქნა მწვანეთა მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის პოლიტიკური საბჭოს განცხადება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის პოლიტიკური საბჭოს განცხადება

ზუგდიდში დღეისათვის შექმნილია მძიმე სოციალურ პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. 24-ივნისის მოვლენების შემდეგ მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობისა და უსუსურობის გამო კრიმინოგენურმა სიტუაციამ თავის აპოგეას მიაღწია. ცხადზე-ცხადია, მოსახლეობა, როგორი პოლიტიკური მრწამსისას არ უნდა იყოს იგი, მშვიდობიანი ცხოვრების მომხრეა.

სამწუხაროდ ადგილობრივი ხელისუფლება ჯერჯერობით ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას. მეტსაც ვიტყვით, იგი თვითონაც დაუცველია და ფაქტიურად ვერავითარ ღონისძიებებს ვერ ღებულობს მდგომარეობის გამოსასწორებლად. რეალურად კი ზუგდიდს მორიგეობით შეიარაღებულთა სხვადასხვა ჯგუფები აკონტროლებენ.

ჩვენი პარტიის პოლიტიკური საბჭო მხარს უჭერს ქალაქისა და რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ ოთარ ფაცაციას, როგორც გამოცდილ სამეურნეო მუშაკს, როგორც ზუგდიდელს რომელსაც ბევრი რამ სასიკეთო გაუკეთებია ქალაქისათვის, მაგრამ დღეისათვის ჩვენთვის გაუგებარია თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობს იგი ქალაქს, რომეთუ მთელ რიგ საკითხებში მისი პოზიცია გაურკვეველია, კერძოდ:

1. სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ის არ ღებულობს არავითარ ღონისძიებებს ქალაქში ბანდიტიზმის, ძარცვის, გლეჯვის, ყაჩაღობის და სხვა უბედურების აღსაკვეთად.

2. არ ხორციელდება საკადრო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. ნელ-ნელა გამგეობასთან, რომელიც ჯერ კიდეკ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო არ არის დაკომპლექტებული, იქმნება აპარატი, სადაც შეიმჩნევა არც თუ ისე შორეული წარსულის ბიუროკრატიული გადმონაშთები!

4. სოფლად მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობის უმრავლესობას აქვს სურვილი ჩაის კრეფისა, არ ხორციელდება არავითარი ღონისძიებები იმ ჯგუფების აღ საკვეთად, რომლებსაც ტერორიზებული ჰყავთ მოსახლეობა. ესენი უმეტესწილად გამგებლები და მათი მდივნები არიან.

ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებისაგან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოსდა იგი ელოდებოდეს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში რომელი მხარე გადასწონის. სრულიად გაუთვალისწინებელია ადამიანის ფაქტორი რომელიც ფაქტიურად უკვე სიღატაკისა და შიმშილის ზღვარზეა.

ჩვენთვის გასაგებია, ხელისუფლების სიფრთხილე, რომ საკადრო პოლიტიკაში ცვლილებებმა შეიძლება მდგომარეობა უფრო მეტად დაძაბოს. სამართალდამცავი ორგანოების რეორგანიზაციამ კი გააღიზიანოს ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ფაქტიურად მათთან ურთიერთთანხმობაში არიან ამან კი შეიძლება მდგომარეობის მეტი დაძაბვა გამოიწვიოს, მაგრამ ვფიქრობთ ეს არ ამართლებს ხელისუფლების ინერტულობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს მწვანეთა ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის პოლიტიკურ საბჭოს საჭიროდ მიაჩნია:

1. სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობას მისცეს გარკვეული დრო კრიმინოგენური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ დროის განმავლობაში თუ მდგომარეობა შესამჩნევად არ გაუმჯობესდება, ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკური საბჭო გაიზიარებს იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მოთხოვნებს, რომლებიც მხარს უჭერენ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობის გადადგომას.

2. უახლესი ერთი კვირის განმავლობაში საბოლოოდ დაკომპლექტდეს გამგეობა.

3. განხორციელდეს ქ. ზუგდიდში არსებული საინფორმაციო საშუალებების სრული დემოკრატიზაცია და დაცულ იქნას მათი უსაფრთხოება აგრესიულად განწყობილი პოლიტიკური ძალებისაგან.

30 ივნისი 1992 წელი.

ქ. ზუგდიდი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სპონსორია ზუგდიდის აგრომრეწვბანკი

ნუთუ აღარ არის დრო

კოლხეთის მკვიდრთ ბევრი რამით მვევწონდა და მოგვწონს თავი. ამის საფუძველს იძლევა ჩვენი კუთხის წარსული, ხალხის თვითმყოფადი ბუნება და ხასიათი. ჩვენ ის ხალხი ვართ , რომელსაც ზედმიწევნით მოხდენილი და მდიდარი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები დაგვანათლა განგებამ არც შესაფერისი მხნეობა და კაცთმოყვარეობა დაგვაკლო, რითაც ცხოვრებისეული ჭირთათმენის უნარი და ბედის ქარტეხილებთან შეურიგებლობის ყინიც სულიერ საგზლად გამოგვატანა. ერთი სიტყვით, არის რაღაც იდუმალი და თავისებური თვისება, ათას კაცში რომ გამოგარჩევინებს კოლხურ ხასიათს და მსოფლმხედველობას. ამასთან ცალმხრივ მსჯელობასაც თავი უნდა ავარიდოთ და ის კნინი, გადაგვარებული და პროფანირებული თვისებებიც უნდა მივანიშნოთ, რომლის მეოხებით სამეგრელოს არც თუ იშვიათად მიყენებია ჩრდილი.

მკრეხელობაა კაცმა ასეთი კითხვა დაუსვა საკუთარ თავს: მაინც რა თვისება დომინირებდა ორი პოლუსის დამტევ კოლხი კაცის ხასიათშიო? აბა რომელი ჭკუათმყოფელი შეუდგება ღირსებასა თუ მანკიერების ბალანსის დადგენას ამ ჭრილში. იმ საყოველთაო სიცრუისა და დაშინებულობის ფონზე, რაც საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა გვიანდერძა, მაინც ადამიანებად დავრჩით. რაც არ უნდა ამტკიცონ ზოგიერთმა ავის მჩხრეკელებმა, ბრბოდ მაინც არ ვქცეულვართ.

ჩვენებურ კაცში ერთმანეთის გვერდით ბუდობს ამაღლებული და ქვენა გრძნობა, პათეტიკური და კომიკური, გულუბრყვილო უმეცრება და შეგნებული დანაშაულებრივი ქმედება. რაღაც უხილავი ძალა შთაგონებდა ჩვენებურ კაცს წაელილინებინა სულისშემძვრელი, „ხი სოულ ბატა", იმავდროულად აღეზევებინა სატანისეული საწყისი და გაეყოდა თავისივე მოძმე. ამდაგვარი ლაგამწაყრილი უზნეობის სახეფათო ბაცილა დღემდე ბობოქრობს ქართველ კაცში. მასში ისევ ებრძვის ერთმანეთს არსება და ფარსადანი.

უცქერი რა ჩვენს თვალწინ ღატრიალებულ კოშმარს, გინდა სმამაღლა შესძახო გაბოროტებულ თვისტომს: შესდექ, ცოდვის შვილო! ნუ გაიმეტებ ასე იოლად შენს მოძმეს.

ეკოლოგია

ტყე შეევუნახოთ შვილებსა...

ცნობილია ტყის როლი და დანიშნულება ადამიანის ცხოვრებაში. ბუნების ეს განუმეორებელი ცოცხალი ორგანიზმი კაცობრიობის აუცილებელ სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს. ამ ფასდაუდებელ საუნჯეს მუდმივი გაფრთხილება, მოვლა და გამრავლება სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენი რაიონის სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სათანადოდ არ აფასებს ტყეების მნიშვნელობას, კვლავ დიდი რაოდენობით სპობს და ანადგურებს მას.

ნათქვამის „ნათელი" დადასტურებაა ამა წლის თებერვალში სოფელ რუხის მოსახლეობის მიერ 15 ჰექტარზე (მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე) უნებართვოდ, ბარბაროსულად, პირწმინდად მოჭრილი 800 კუბმეტრამდე საერთო გამოსავლიანობის ხეტყე, სოფელ რიყეში იანვარ-თებერვლის თვეებში 48 კაცის მიერ მოჭრილი 534 კუბმეტრი ხე-ტყე. მეტნაკლებად უნებართვო ჭრებია ცაიშის, ურთის, აბასთუმნის, გრიგოლიშის, ჯიხაშკარის, ოდიშის, ტყაიას, ანაკლიის და სხვა უბნებში. ამასთან ზოგიერთ სოფელში (მაგ. რუსეში, ოდიშში, ახალსოფელში და სხვაგან) არის მამა-პაპეული მიწების დაპატრონების მოტივით ხე-ტყის ამოძირკვის, სამოსახლოდ მიწების უკანონოდ დაკავების, სახნავ-სათესების მიტაცების ფაქტები.

დროა ყველამ გაიგოს და იცოდეს, რომ რაიონში ადრე არსებული საკოლმეურნეო ტყეები რესპუბლიკის საკუთრებაა, მას სახელმწიფო იცავს და პრივატიზაციას არ ექვემდებარება, მისი ხელყოფა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

მართალია, ზუგდიდის სატყეო მეურნეობის მცირერიცხოვანი კოლექტივი იბრძვის რაიონში არსებული ტყეების უკანონო ჭრებისაგან დასაცავად, მაგრამ მარტო ვერარ გახდება, თუ არ დაეხმარა ფართო საზოგადოებრიობა. შოსახლეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიონის დაბალი სიხშირის ტყეებს განადგურება მოელის და ჩვენ, ყველანი, დამღუპველ ეკოლოგიური პირობების წინაშე აღმოვჩნდებით.

თანამემამულენო! მოდით, გულიდან ნუ წავიშლით ამ ალალ სიტყვებს: „ტყე შევუნახოთ შვილებსა, ეს არის ჩვენი ვალია!"...

ი. ჯალაღონია,
ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

ამ დღეს ველოდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საამაყო ქალაქი ზუგდიდი ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოში. მეცნიერების ტაძრის დაარსებამ კიდევ უფრო აამაღლა იგი. გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა წყალობითაც კოლხეთში გაიხსნა დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, რომლის კარები მუდამ ღია იქნება ჩვენი მომავალი თაობისათვის.

მივესალმებით ყველა იმათ, ვინც მეცნიერების საფუძვლებს დაეუფლნენ სხვადასხვა [illegible] თავიანთ მშობლიურ ქალაქში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის არ დაზოგეს მონდომეა, ენერგია.

ჯანმრთელობა, წინსვლა, ბედნიერება არ მოკლებოდეთ ამ კეთილი საქმის მესვეურთ.

სვანეთის ქუჩის კომიტეტში შემავალ 500 წევრის სახელით
სვანეთის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ბუცხრიკიძე.

რატომ ვამბობთ ასე?

ლინჩის წესით...

სამწუხაროა, ჩვენს სადღეისო ლექსიკაში არც ისე იშვიათად გამოიყენება გამოთქმა „ლინჩის წესით გასამართლეს" ან „ლინჩის სამართალი"... უფრო საუბედურო და სამარცხვინოა ის, რომ ასეთი წესით გასამართლების შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქართველოში ამას წინათ, რაც ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის.

მაინც რას ნიშნავს, საიდან მოდის „ლინჩის წესით" გასამართლება?

გამოთქმა ამერიკული წარმოშობისაა და იხმარება თვითნებურად ანგარიშის გასწორების, განუსჯელად ადამიანის დასჯის აღსანიშნავად.

გადმოცემის თანახმად, ჩრდილო ეთ ამერიკის კაროლინას შტატის მცხოვრებლებმა არასაკმაოდ მკაცრად, ლმობიერად მიიჩნიეს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური მთავრობის სისხლის სამართლის კოდექსი და დაავალეს თავისი შტატის მოსამართლეს, ვინმე ჯონ ლინჩს (მე-16 საუკუნე) ემოქმედა თავისი შეხედულებისამებრ. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ სულ მალე კაროლინას შტატში ფართოდ გავრცელდა თვითნებურად ანგარიშის გასწორება. რაიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების მხეცურად თვითგასამართლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რასაც ხალხმა „ლინჩის სამართალი" უწოდა.

„ლინჩის სამართლის" საშინელება განსაკუთრებით იწვნია ამერიკელმა ზანგებმა.

როგორც ცნობილია, 1619 წლის აგვისტოში სამხრეთ ამერიკის ჯეიმსტაუნის ნავსადგურს ჰოლანდიის გემი „ტრეეუარი" მიადგა. გემიდან აფრიკაში მოტაცებული 20 ზანგი გადმოსხეს და იქვე ბაზარზე გაჰყიდეს. ეს იყო აფრიკელი ზანგი მონებით ვაჭრობის პირველი შემთხვევა ამერიკაში, რამაც სულ მალე ფართო ხასიათი მიიღო. გვინეის, ბენგალისა და აფრიკის სხვა პროვინციებში სავაჭრო კანტორები შექმნეს, რომლებიც შეპყრობილი ზანგების შესყიდვასა და ამერიკის ბაზრებზე გადაგზავნას ეწეოდნენ. ეს სამარცხვინო ოპერაცია იმდენად საოფიანი აღმოჩნდა, რომ ოთხიოდე წლის შემდეგ ამერიკელ მონათმფლობელთა პლანტაციებში უკვე ხუთ მილიონამდე მონა ზანგი მუშაობდა.

ჩვენდა საუბედუროდ, ადამიანთა მოტაცებასა და ყიდვა-გაყიდვას ძველად საქართველოშიც ჰქონდა ფესვები გადგმული.

რედაქტორი
აკ ბანტურია

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებსა და სპეციალობებზე:

I. ეკონომიური განყოფილება:

1. სასურსათო და სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა.
2. საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი.
3. ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე.
4. საქონელმცოდნეობა—მატერიალურ ტექნიკური მომარაგება და გასაღება.

II. ტექნოლოგიური განყოფილება.

1. კვების პროდუქტების (ჩაი და ჩაის პროდუქტები ტექნოლოგია).
2. დაკონსერვების, რძის და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია.
3. ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ტექნოლოგია.

III. სამშენებლო ტექნოლოგია.

1. სამოქალაქო და სამრეწველო შენებლობა.
2. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი.

ეკონომიურ განყოფილებაზე მომზადდებიან. სასურსათო და სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე მენეჯერები, ეკონომისტ-ბუღალტრები ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დარგებისათვის. ასევე საფინანსო-საკრედიტო და საბანკო საქმის მცოდნე ეკონომისტები.

ტექნოლოგიურ განყოფილებაზე მომზადდებიან: ინჟინერ ტექნოლოგები ჩაის მრეწველობისათვის, ქაღალდის წარმოებისათვის, ინჟინერ ტექნოლოგები, საკონსერვო და გემოკვების დარგებისათვის.

სამშენებლო სპეციალობაზე: მომზადდებიან: ინჟინერები სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისათვის, ინჟინერ-მექანიკოსები მშენებლობის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის.

ტექნიკუმი გადაკეთდა კოლეჯად, ამით ძირფესვიანად იცვლება სწავლების სტრუქტურა და შინაარსი. ტექნიკუმის არსებობის ისტორიაში ეს არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი. კოლეჯის კურსდამთავრებულის აკადემიური დონე უახლოვდება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის აკადემიურ დონეს. კოლეჯის კურსდამთავრებულის დიპლომში ჩაიწერება, რომ წარმომდგენს მიღებული აქვს „დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება". თუ ადრე ტექნიკუმი ამზადებდა ტექნიკოსებს, კოლეჯში მომზადდება ინჟინერ - ტექნოლოგები, მშენებელი და მექანიკოსი, ინჟინერები. უფროსი ბუღალტერ-ეკონომისტები, საკრედიტო საფინანსო და საბანკო საქმის მცოდნე ეკონომისტ-მენეჯერები.

კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ კოლეჯის სპეციალურ ბლანკზე შევსებული განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: განათლების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 086, 4 ცალი ფოტოსურათი ზომით 2X3, პასპორტი, ან პირადობის მოწმობა და სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულები) წარმოადგენენ პირადად.

კოლეჯში სწავლა საშუალოდამთავრებულთათვის დაწესებულია 2 წ. 6 თვე, ხოლო 8 კლასდამთავრებულთათვის 3 წ. და 6 თვე. განცხადების მიღება იწყრმოებს 15 ივლისიდან 10 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები მოეწყობა 11 აგვისტოდან. საშუალოდამთავრებულ ჯგუფებში ტექნოლოგიურ განყოფილებაზე ბარდება წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზეპირი გამოცდა ქიმიაშიც, დანარჩენ განყოფილებებზე ქიმია ზეპირის ნაცვლად ტარდება გამოცდა მათემატიკა ზეპირში. 8 კლასდამთავრებულებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში (ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია, საბუღალტრო აღრიცხვა საფინანსო-საკრედიტო და საბანკო საქმე) ბარდება გამოცდა ქართულ წერაში (კარნახი) და მათემატიკა ზეპირში.

კოლეჯში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 300-დან 350 მანეთამდე. კოლეჯის კურსდამთავრებულები ნაწილდებიან სამუშაოზე.

დაუსწრებელ განყოფილებებზე იწარმოებს საშუალოდამთავრებულთა მიღება; დაკონსერვების ტექნოლოგიაზე. საბუღალტრო აღრიცხვაზე და სამშენებლო სპეციალობებზე.

შენიშვნა: 1. კოლეჯის შენობის პირველ სართულზე მოეწყობა აბიტურიენტის კუთხე, სადაც შემსვლელს შეუძლია მიიღოს პასუხი ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე.

2. 7 აგვისტოს მოეწყობა „ღია კარის დღე", სტუმრები გაეცნობიან კოლეჯის არსებობის ისტორიას კურსდამთავრებულთა საქმიანობას და მომავალ პერსპექტივებს.

მიმღები კომისია,
ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2.

ყურადღება!

მიუხედავად არაერთხელ გაფრთხილებისა, მთელი რიგი კოოპერატივები და მცირე საწარმოები საგადასახადო ინსპექციაში არ ადგენენ შემოსავლების შესახებ დეკლარაციებს, და თავს არიდებენ ბიუჯეტის სასარგებლოდ ქუთვნილი გადასახადის გადარიცხვას.

შეგახსენებთ, რომ მოგების (შემოსავლის) დამალვის, მისი აღრიცხვის უქონლობის, საგადასახადო ორგანოებში დეკლარაციების საბუღალტრო ანგარიშების და გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდისათვის საჭირო სხვა დოკუმენტების წარმოუდგენლობის ფაქტები განიხილება სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის უხეშ დარღვევად და გამოვლინების შემთხვევაში მოგების გადასახადი წარმოებიდან ამოიღება უდავო წესით ორმაგად, ხოლო განმეორების შემთხვევაში სამმაგი ოდენობით, ამავე დროს ამ სახის დარღვევების დაშვებისათვის თანამდებობის პირები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 100-დან 300 მანეთამდე. გარდა ამისა, გადასახადების დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადამხდელებს გადახდება საურავი ნარჩენი თანხის 0,3 პროცენტის ოდენობით.

სახელმწიფო გადასახადისაგან თავის არიდება მოგების მიღების მიზნით, თუ ეს მოქმედება ჩადენილია ანალოგიური გადაცდომისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, ან ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ზემოთ აღნიშნულის შეხსენების შემდეგ გთხოვთ ამა წლის 10 ივლისამდე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში წარმოადგინოთ საჭირო დოკუმენტები და უზრუნველყოთ თქვენზე დარიცხული გადასახადების ნარჩენი თანხების შეტანა ბიუჯეტში.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

სარეალიზაციოდ

მიღებული გვაქვს წყალტუბოს, მენჯის, ქობულეთის, გაგრის, ახტალის, მწვანე კონცხის, თბილისის „ქართლის", ურეკის, მახინჯაურის, ბიჭვინთის, ციხისძირის სანატორიუმებისა და პანსიონატების საგზურები.

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული საბჭო.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 2000. შეკ. №157